

გასაგადი

ა. გადღებთი ხარჯი. ძალაქის თვით-მმართველობის შენახვას უნდა სულ—12,692 მან., აქედამ თვით-მამგობას: ძალაქის თავს ჯამაგირად—3,000 მან. მათს წევრს გამგეობისას—1,200 მან. მეორეს—600 მან. სეკრეტარს—1,000 მან. ბუხგალტერს—700 მან. ძალაქის არხიტექტორს—1,000 მან. სალორის ტყის ზედამხედველს—200 მან. ბაზრის ორს ზედამხედველს—600 მან.

ძალაქის ვადანახადთა მოკრეფის ხარჯი, ე. ი. აღმასრულებელი მოხელეს ჯამაგირი—600 მან. მესარკეთა ჯამაგირი—600 მან. მეტყვეთ ჯამაგირი—100 მან.

მამგეობისა და რჩევის სადგომის ქირად—1,000 მან.

ქანცელარია და იმისი ხარჯი—2,092 მან.

შალეების გასასტუმრებლად—3,896 მან. 73 1/2 კაპ.

ძალაქის შენობათა და ქონების შესანახველად—975 მან.

ძალაქის პოლიციის შენახვა საეჭიშო ნაწილითურთ—20,521 მან.

სეცხლის საქრობი უწყების შესანახველად—1,235 მან.

ძალაქის ბაღების შესანახველად—280 მან.

ძალაქის გასახლებლად—3,751 მან. (აქედამ ჩარადღებისათვის—200 მან.)

ჯარების დასაკმაყოფილებლად—22,359 მან. 2 კაპ.

საქალგებო გიმნაზიაში მოსტიპენდიეს შესანახველად—200 მან.

ჭუჩების, თხრილების, მიწაში გაყვანილ მიღების და მოედნების მოსაველელად—3,000 მან.

ძალაქის საპრობილის შესანახველად—2,561 მან.

მოულოდნელ ხარჯებისათვის—848 მან.

ბ. გასაგადი, რომელიც გადღებთია არ არის.

სამასწავლებლო უწყების ხარჯად: სკოლის შესანახვად—1,846 მან. 67 კაპეცი საქალგებო უსასყიდლო სკოლის დასახმარებლად—1,200 მ. სულ 3,046 მ. 67 კ.

ჭველ-მოქმედებთა მიზნისათვის 395 მ. 90 კ.

სასაფლაოს მოწყობისათვის—1,500 მ.

სულ ხარჯი 77,261 მ. 41 1/2 კ.

წასრულ წლების ანგარიშებით აუსრულებენ ხარჯები.

ჯაჭვის ხიდის გასაკეთებლად—5,602 მ.

საავთმყოფოს დაფუძნებისათვის—2,160 მ.

ძალაქის პლანის აღებისათვის წინასწარ ხარჯად—1,500 მ. სულ 9,262 მან.

მაშასადამე დეფიციტი არის 24,976 მ. 34 1/2 კ., რომლის დაფარვას აპირებენ: ა) წასრულ წლების ანგარიშით აუსრულებელ ხარჯთა კვლავად

ვადღებთა მომავალ წლისათვის და ბ) ფულების დაბრუნებით, რომელიც საქალაქო ბანკის დასაარსებლად იყო გადაღებული (2,418 მ. და 60 კ.), მაგრამ მამგეობამ ნასესხებსავით დახარჯა სხვა და სხვა საქროებათათვის.

ღარჩა წმინდა დეფიციტი 13,295 მ. 74 1/2 კ. ამის ასაკლებლად უნდა მიიქცენ მმართველობისადმი თხოვნით, ა) რომ პოლიციის დარაჯების ხარჯი (5,208 მ.) მთავრობამ თავის თავზე მიღოს და ბ) ხარკის გადაუხდელი ხარჯი მ. 7,932 დაუბრუნდეს ძალაქს, რადგან ამ ფულის მამგერ ქალაქის დასახმარებელ ფულებიდან დუკავებთა ხაზინას (შეცდომით).

ახალი ამბები

ჩვენ შევიტყვეთ, რომ თ. დიმიტრი დიდიანი და ექიმი დიმიტრი ნახაროვი მთავრობის წინაშე შუამდგომლობენ ქართულ გავითის გამოცემის ნება-რთვის მუთისში. ბაზეთს ერქმევა სახელად შრამა. გამოვა კვირაში ერთხელ და წელიწადში ეღირება 7 მანეთად, თითო წომერი აბაზათ. როგორც გვაცნობებენ, ვრცელი პროგრამა აქვს.

ამ ახალ მოძმის დაბადებზედ ჩვენ მხოლოდ სიამოვნებისა და თანაგრძობის გამოცხადება გვმართებს. მით უფრო ეცხადებთ ამ სიამოვნებასა და თანაგრძობას, რომ, რამდენათაც ამ საქმის მოთავთ ეცნობთ, საიმედო კაცები არიან და კარგათ უნდა ემოდესთ ის მძიმე მოვალეობა, რომელსაც, გავითის დაარსებით, ჰკისრულობენ.

მისურვებთ, რომ მართლა ნამდვილი მოძმე შეგვეძნოდეს, რომ მუთისის ქართულ გავითს პატიოსნად, რიგიანად და თავის ქვეყნის სასიკეთოდ შეესრულებინოს თავის მოვალეობა.

ბუშინ, 25 იანვარს, შესრულდა ოც-და-ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც დიდა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიიღო უფროსობა მთელი რუსეთის არტილერიისა. ამ დღის სადღესასწაულოდ გუშინ დილით თფლისში სამხედრო ეკკლესიაში პარაკლისი გარდინადეს და საღამოს არსენალი გაჩირადღებული იყო და მაშალეები აუშვეს.

ბუშინდღობა ქართულ წარმოდგენამ, მართალი უნდა ესთქვათ, ცუდი მთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და, მაგონი, მომეტებულს ნაწილს მაყურებელზე გადაც. „მოდანო და ლეკს“ თამაშობდნენ; მაგრამ არ ეიცით, რა მიზეზით გუშინ ერთი-ორად უფრო უშნოდ წავიდა ეს პიესა, ვინემ ამას წინათ, როდესაც პირველად წარმოადგინეს. თვითონ პიესას, ანუ უკეთ ესთქვათ, იმის თარგმანს, მართალია, ზოგიერთი ნაკლებეფანება აქვს, მაგრამ მაინც ერთს საუკეთესო სასცენო პიესად

ჩითვლება. მაშასადამე ნაკლებეფანება ამ მხრით არ ყოფილა, არამედ თამაშის, შესრულების მხრით.

ბანსაკუთრებით მესამე მოქმედება (სცენა მოსამართლესთან) ერთობ გრძელი და როგორც ულაზათო გამოვიდა.

შომისოთაც ცუდს ზედ-მოქმედებას ახდენს მაყურებელზე ის გარემოება, რომ პიესაში გარყენილობა და ზნეობის დამცირება არის გამოყენილი და ბაბუნიას ქალი ამ მხრით თითქო უფრო ცდილობს, რომ მაყურებელს დაანახოს ეს ბეგრისათვის სათაკილო ადგილები პიესისა. ბ. მ. აბაშიძე თან-და-თან უმატებს ჭარსს, თან-და-თან უფრო მომატებულად იგრზება და იღმიჭება სცენაზე რაიოკის გულის-მოსაგებად. წინათაც გვითქომს და ეხლაც ვამბობთ, რომ ამგვარის ქცევით ის თავის ჩინებულ ნიქს, თუ არ გაიფუჭებს და გააქარწყლებს, არას შემატებს.

შველა ამას დაუმატოთ ჩვეულებრივი როლების უცოდნელობა ჩვენის მოთამაშეებისაგან, რომლის წყალობითაც თითქმის ყოველთვის პიესებსაც და თამაშსაც ღირსება ეკარგებათ.

* *

ჩვენ შევიტყვეთ რომ, უმაღლესს მთავრობას, ბ. საბანინის მეცადინეობით, გარდაუწყვეტია, რომ ქ. სილნახილამ წმ. ნინოს მონასტრამდინგზა-ტყევილი იქმნეს გაყვანილი. ამ საქმეში, სხვათა შორის მხურვალე მონაწილეა მიუღია, თ. ლ. მელიქოვს. მზის გასაყვანად, როგორც გვაცნობებენ, ამ დღებში ინჟინერი უნდა წავიდეს სილნალში და საქრო ფულების მხრით დაბრკალება არა იქნება-რაო.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

აღრვევ თქვენის პატივცემულის „დროების“ (№ 219) მოწინავე სტატიის ავტორმა წარმოსთქვა ჩემს თხზულებზედ: „ზოგჯერ დასუბრა მდგდლის ინგილოთ ეჭვნდისთან“ თავისი შეხედულობა და მსჯელობა და ეხლა კიდევ უფრო მომატებულის სიმკაცრით განიმეორებს ესრეთვე იმავე ჩემს შრომზედ № 1 ამ წლის „წერილის“ ბ. ბიბლიოგრაფი. ამისთვის გთხოვთ უმდაბლესად მიჰსცეთ მცირედი ადგილი თქვენს პატივცემულს ვაზეთში ამ ჩემს შემდგომ პასუხსაც.

მოხსენებულს მსჯელობაში ჩემის თხზულების შინაარსზედ უპირველესად არის წარმოსთქმული: „მღვდელი უმტკიცებს ინგილოთ ეჭვნდის მართლმადიდებლის უპირატესობასაო მაჰმადიანობაზედ და სხვ.“ ჩვენ სრულიებით არ გვემის, თუ რას ჰპოვებს ამაში ბ. ბიბლიოგრაფი კანონისა და სინდისის წინააღმდეგს. ნუ—თუ დარწმუნებული არაა იგი, რომ არა

თუ ყოველი პატიოსანი მღვდელი, არამედ თვითუფროსი მღვდელიც ვალდებულია აღვიარებდეს და თავდადებით დაამტკიცებდეს შემთხვევის დროს მართლ-მადიდებლობის უპირატესობასა მაჰმადიანობაზედ?! შეტყველია, მაშ იმათის ფიქროთ წამებაცა არგვეთის მთავართ—ღავით და ძონსტანტინესი, დედოფალის ძეთეფანისა, მეფის არჩილისა და სხვა მრავალთ ჩვენის სამშობლოს სასიკადულო და მოღეწე მამულის-შვილთა, და საზოგადოდ ქრისტიანეთ ურიცხვით მოწამეთაცა, იყვეს უნდა ნამდვილი სიცრუე და თავხედობა...

მაგრამ შესანიშნი ეს გახლავთ, რომ ბ. ბიბლიოგრაფი ამ გვარს დასკვნას ჩვენის თხზულების შინაარსზედ აფუძნებს მხოლოდ მესაელის მაგიერის გარჩევანზედ. წინააღმდეგს შემთხვევაში იგი უტყველია შეჰნიშნავდა, რომ არა თუ წიგნისა თავიდგან სრული 50 ფურცელი და ბოლოს მ გამოხატვენ ნამდვილთ სხვა და სხვა პატრიოტულ გრძობათა, არამედ მთელის თხზულების მიმართულება უმეტესად მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მსმალთა და სპარსელ-ღალისტელთაგან გამაჰმადიანებულ ჩვენს თანამემამულეებში დაჰბადოს და აღძრას ეს ამგვარი გრძობები და საფხოსნობის პატივი, სიყვარული და ისტორიულის მომავლისათვის მისი ჯეროვანი ღირსება...

შემდეგ ბ. ბიბლიოგრაფი ორთ სხვა და სხვა სარწმუნოებათ წარმომადგენელ—ეფენდისა და მღვდლის მეგობრულს საუბარს უწოდებს—რა გაუგებარს ქადაგებან, ჰბრძანებს:

„ბეგიევი ვერ დაგვიმტკაცებენ, რომ კაცობრიობის პროგრესს რითიმე აწოსო მაჰმადიანობამ.“

როგორ თუ ვერა?! თუ არ მაჰმადიანობამ, მაშ რამ დაამხო და თითქმის მიწასთან გაასწორა დიდებული მიზანცა;—რამ იყოლია მონებრივს მორჩილებასა ქვეშე სამის საუკუნის განმავლობაში მთელი რუსეთი და უკუ-აყენა ჰსწავლა—განათლების მიღებაში თანასწორ თავის მეზობლებთან;—რამ დაამხო და განადგურა ჩვენი, ერთ დროს ყოველის მხრით და ფრით აღყვავებული, სამშობლო თუ არ ჭანატყურმან მძვირვანებამ გარემომრტყმულის მძღაერის მაჰმადიანობისამან, და ანუ ყხლა, თუ არ მაჰმადიანელთავე ცბიერი დილობატია, მაშ რა ატუხტუხებს მთელს მეროპას და ახარჯინებს ურიცხვს მხედრობაზედ ურიცხვსავე მილიონებს?!

აჰა, ვითომ რა მონაწილეობის მიღებაზედ მაჰმადიანელთაგან შეუძლიან მიგვითითოს ბ. ბიბლიოგრაფს ყველა იმ კაცობრიობის წარმატებაში, რომლითაც რომ ესრეთ თავმოწონებით ამყობს ეს ჩვენი 19 საუკუნე?!

ჰბრძანებს: „გამაჰმადიანებული ქართველები ისეც ექვიანათ გვიყურებენ და ბეგიევი და მისი თანამოაზ-

რენი იმას ძალით ჰსჯულის გამოცემას გვიჩვენებს და ცდილობენ. რომ არც ჩვენ განხილავთ ამ გვარის შემცდარს: მიმართულებისა და მამასადამე არც არა ამ გვარი ჩვენს ხსენებულს წიგნში მოიპოვება, ამას ჩვენ გულ-წრფელად ვაღიარებთ სახალხოთ; —ამაზედ თვით დარწმუნდება ყოველი სული, რომელიც გულ-დადებით მას წაიკითხავს და განსჯის... ამ უსაფუძვლო შეხედულობის მიზეზი ჩვენს თხზულებებზედ ბ. ბიბლიოგრაფისაგან განლაგებულ ჩვენს ჰაზრით, როგორც ზეცით მოვიხსენიეთ, იმათგან, ამ წიგნის სრულებით წაუკითხელობა; ანისი დასაწყისი მაინც, შრომა მივლოთ, და გადაეთვარიეობინათ და 23 ფურცელი შეენიშნათ და წაეკითხათ, ემედულობათ, რომ არ ინებებდნენ სრულებით არა რისამე ამ გვარის თქმას.

მკრეთვე: „სარწმუნოება სინდისის საქმეა, კაცი თუ ხალხი თუნდ ქრისტიანი იყოს, თუნდ მაჰმადიანი, თუნდ კერბთ-თაყვანის მცემელი განთლებას და წარმატებას არ დაუშლისო“. ამ გვარს რჯულზედ შეხედულებას, რომელსაც რომ ეწოდება ამ დროს ევროპიული თავისუფლური მსჯელობა, მადლობა უფალს, რომ ჩვენს სამშობლოში არა აქვს იქაურებრ ფესვი გამაგრებული; — ვინაშით, რომ ღმერთთან სამარადისოდ ამოიშრას ჩვენს ხალხს ეს ამ გვარი ცრუ-განათლება; და მამასადამე ამისთვის არც ამაზედ ბასის გაგრძელებას ვრაცხთ საქიროდ...

ბიბლიოგრაფი: „ბეგევის თხზულება გაუგებარის, მძიმე ენით არის დაწერილი, ღრმით ქართულის მცოდნესაც კი გაუჭირდება მისი წაკითხვა, მე ხელობით ბიბლიოგრაფსაც კი გამოეჭირდა ერთის (შესავლის მაგიერიდამ) წინადადების გადმოწერა და სხვ. და სხვ...“

ნუ თუ ვრცელი წინადადების ხმარება აღკრძალულია ქართულს მართლწერაში, ანუ მამაკედინებელ შეცოთათათა ჰრაცხს ბ. ბიბლიოგრაფი, რომ მაგიერ უსაფუძვლოდ ქართულს ენაში შემოტანილის სიტყვებისა: სკოლა, უბიტელი, უხენეკი, შეგირდი და სხვ. და სხვ., ჩვენა ეხმარობთ: სასწავლებელი, მსწავლებელი, მოწაფე, მოსწავლე და სხვა ამ გვართა?!

რასაკვირველია ჩვენ იმას არავის მოვასხენებთ, რომ ჩვენი თხზულება იყოს ყოველის მხრივ სრული; სხვა ვინ ყოფილა კაცთაგანი ყოველითურთ სრული და შეუცთომელი, რომ ჩვენც ეს დავიკვიროთ; აკი მოხსენებულსავე შესავლის მაგიერში ამ ჩვენს თხზულებას ვასახლებთ ჯერეთ ისევ პირველს ამ გვარს შრომათა, შერდგენილად თითქმის სრულებით უმასლოდ და ყველა ნაკლულეგანებზედ ვიხდით ყველასთან ბოდიშსა. მაგრამ რომ არც დაწერილია იგი მართლად გუგუბარის, მძიმე და ღრმა ენითა, და ესეც კი ნამდვილი და ჭეშმარიტია; — არა თუ საზოგადოდ მრთელი წიგნი,

თვით ღრმა ლეთის-მეტყველებითი საგნებიც კი ჩვენს გულ-დაჯერებით საქაოდ დაბიურის და ადვილად გასაგონის ენით არაან გამოთქმულნი.

მაგრამ რა, ამ გვარს, სარწმუნოების შესახებ საგანზედ კითხვა რომ აღარავის ეპიტხაგება, წერა ვილას მოეწონება ვითომ?! ნუ თუ ყველანი უნდა ჰწერდნენ მხოლოდ, — ლექსებს, ჰსცენებს, კამედიებს და სხვ?! აკა თუ, საფრანგეთის რადიკალებისა არ იყოს, ჩვენც ამ ჩვენმა ზოგიერთა პუბლიცისტებმა ყველა ამ გვარების აღკრძალვა არ დაგვიწყონ სრულებით?!

ბ. ბიბლიოგრაფი დარწმუნებულია, რომ ჩემი თხზულება არის დაწერილი ჩემის მხრით სრულებით უინტერესოდ და უანგაროდ; ვგრეთვე, — რომ გამოცემელიცა მისი ამ შემთხვევაში იქცევა სრულებით უინტერესოდ და უანგაროდ. და შესახებ იმისა კი „რომ ამ წიგნის გაყიდვით შემოსულის ფულით უნდა დაიბეჭდოს საბა მრბელიანის „ლექსიკონია“, — ჰბრძანებს ბ. ბიბლიოგრაფი, — ამ ლექსიკონის გამოცემა კარგი საქმეა, მაგრამ ამ საშუალებით მისი დაბეჭდვა არაფრათ მოსაწონია; წმიდა ჰაზრის მისახვევად წმიდა საშუალებაც იხმაროსო უნდა კაცმა, და არა უწმინდური და მანე“. ახირებულია თქვენმა მხემ, ახირებული. ნუ თუ ამ ჩვენს მრავალ მილიონიანს სახელმწიფოში, სადაც ყოველი სული თავისუფალია თვის ნებად აღვიარებდეს თავის სარწმუნოების ჭეშმარიტებასა, მხოლოდ ჩვენ ქართველები უნდა ვიყენეთ ამ უფლებასა?! ნუთუ აღვიარება და დამტკიცება იმისი, რომ მართლმადიდებულობა უმჯობესია მაჰმადიანობაზე, უწმინდურება და მანეობა?!

ბიბლიოგრაფი: „ამ წიგნის დინიშნულება ის არის, რომ გავრცელდეს მაჰმადიანებში მყოფ მღვდლებთ შორის და გაუადვილოს მათ ქრისტიანობის გავრცელება; — ჩვენ ჩვენის მხრით არა თანაუგრძობთო ამ დანიშნულეობას“.

სულ სხვა ჰზრისანი არიან ამ წიგნზედ ისინი, რომელთაც სახელდობრ ეს შეეხებათ, და ამისთვის მოუთმენლათა ელოდდნენ ისინი ამის გამოცემათ. უნდა იცოდეს მკითხველმა საზოგადოებამ, რომ ყოველი ნაბიჯი სასულიეროთ და ნასწავლ პირთა ზაქათალის, ნუხის და ახალციხის მხრებში გამაჰმადიანებული ქართველებთ შორის, — ყოველი მუსაიფი, შექცევა და სხვ. დაწყოს და გათავდეს უნდა ჰსჯულზედ ბასით, და მამინ ადვილად დარწმუნდებიან, თუ რამდენათ საქირო იყვის უნდა იქ ამგვარი სახელმძღვანელო წიგნი. ჩვენ ამაზედ დარწმუნებულნი ვართ ჩვენის თვრამეტის წლის გამოცდილებით და

ამისთვის ასე გულწრფელად და ასე სახალხოთ ვაღიარებთ ამას ყოველსავე.

მღვდელი სიმონ ბეგევი.

უცხოეთი

საფრანგეთი. ამ თვის დამდეგს, 21-ს (ჩვენებურად 9-ს) შეიკრიბა საფრანგეთის პარლამენტი. მდებარეობა პალატისათვის ეს სესია უკანასკნელია. აწინდელ დებუტატებს წრეულ უთაღებთ ვადა თვის თანამდებობისა და ამ წლის გასულს უნდა მოხდეს ახალი არჩევანი. ეს გარემოება აძლევს ამ სესიას ფრიად დიდ მნიშვნელობას. ამიტომაც მამეტატამ, პალატის თავმჯდომარემ, განიზრახა წარმოქმა სიტყვისა ამ მნიშვნელობის აღიარებისა და განმარტებისათვის: მამეტატა დაუხვდა პალატს შემდეგის სიტყვით:

„ეს მესამედ მისდება თავმჯდომარის თანამდებობა და სიტყვას ვერ ვზოგულობ, რათა განვიცხადოთ მადლობა თქვენს ფრთად მადლის ნდობისათვის.“

„ეს ასალი სესია, რომლითაც დაგვირგვინდება ჩვენი კანონ-მდებლობითი მოღვაწეობა, შეგამდებინებთ, თუძგა არა გაუჭირებელი, აღსრულოთ ის მძიმე მოვალეობა, რომელიც მოგანდოთ თქვენს საღმრთო. როგორც შარშან მოგახსენებთ, სრულს გამარჯვებისათვის გრძებთ კიდევ საქმე. დასრულდა თუ არა ბრძოლა, 1877 წლის მისი დამ მოვალეობიანი აკტომბრამდე, თქვენ იმ წამსვე შეუდგით საფრანგეთის ნების აღსრულებას და ბოლო მოუღეთ ძველ დასთან მოღვაწეობას.“

„თქვენ აღადგინეთ სამღვლი თვით მმართველობა ჩვენის ქვეყნისა, თქვენ დაუბრუნეთ შარშანმეტის შარში და შარის შარშანმეტის.“

„თქვენ ამოქმედეთ შენდობა და შტობა, და საზოგადოებო შორის მსუდველობით განაწილეთ უკანასკნელი ნაშთი ურთი ერთ შორის ბრძოლისა და სრულიად უშიშრად რესპუბლიკის ბანი მიეცით კაცთ-მოყვარეობას და გულ-უხვობას, რომელიც არასოდეს არ მოგვალეობას საფრანგეთსა გულს. (ტაში).“

„წირველი ზრუნვა თქვენი მიმართულ იქმნა კანონებზედ საღმრთო განათლების შესახებ. თქვენ სულმთრედ აღადგინეთ უფლებას და კანონი, რომელიც დიდხანს იყვნენ დასაგრუნენი, მით ფართო მსუდველობა მიუნიჭეთ საფრანგეთის საღმრთო განათლებას და შირველად დაადგინეთ კანონით სრულიადი შტოვის-ტრემა რწმენის თავისუფლებისა. იმავე დროს, თქვენ მიეცით ფართო გზა საზოგადოებო შენობებს და მუშაობას. საღმრთო, რომელმაც თავისის იუფდით სული მოემართა ასალ რეისის გზების გაკეთებას, სამაგიეროს ჰმოკებს მისვლა-მოსვლას და აღუ-მიცემობის ასალს საშუალებას. თქვენის გულ-უხვის დასმარებით საფრანგეთის ბუნებით ნაკანადგურები იმატებენ სივრცეში და შესძლებენ სხვა ვერა-ბის სავაჭრო ნავსადგურებს ცილასა გაწიონ. ამასთანავე არ დაივიწყეთ მსუდ-

რობაც. ჯარის კაცთა მდებარეობა, როგორც სამსახურში, ისე სამსახურის გარე-დაცა ბეგრად გაკეთდა. ყველა ამის შემდეგ რაც გაკეთებულა, იმედია არ დაიშლებით ისე რომ არ დასრულოთ საქმე ჩვენის ქვეყნის და საღმრთო დაცვისა. ამისთანა ვრცელის შროგანმძის აღსრულებისათვის დანის-ძიება ვზოგეთ იმ საღმრთო შრომის-მოყვარეობაში და ყირათიანობაში, რომელმაც მომეტებით დაგვიბრუნათ ამ სუთის წლის განმავლობაში იუფლი, რომელიც მოიხმარეთ სარჯის შემცირებისათვის.“

„თქვენ აღადგინეთ ბიუჯეტის (მესამედ-განსჯადის) თანასწორობა, უხვი ჯილდო მანისკეთ ყველა თანამდებობას და დაუშვიდრედ საფრანგეთს უმადლესი გრედიტი (ნდობა). სხვა და სხვა ფრთად მძიმე კანონები შესახებ დამოქმენისა, ფრანგისა და ტელეგრაფისა დაწესებისა სხვა-სხვაგვარად თქვენის განათლებულის მოღვაწეობისა.“

„ვიდრე კანონით ქნებოდა დადგინელი დავისუფლება, თქვენ ასალისუფდით ყველას რათა თვით საქმით მოქმედით თავისუფლება. თქვენ დაიწყით ყრდობის თავისუფლება და დაიწყით კიდევ წარსულგანის თავისუფლება. ყველა ამ საფრთხის მოღვაწეობას არ მოგვალეობას სრული მძვიდობიანობა, როგორც შინ ისე გარეთაც.“

„თქვენ, მთავრობისა და საღმრთო შორის თანხმობა გარეშე მძვიდობიანობის დასაწყევლად, რაც უნდა თქვენს, შეურყეველი იყო. ქვეყანამ იცის, რომ საფრანგეთის გარეშე ზოლიტიკას არ მოსდევს არავითარი საიდუმლო განზრახვა. ესეც ერთი თანხმობა, რომელიც დაქრთვის რესპუბლიკას, სადაც ყველაფერი საღმრთო ნებაზედ არის დამოკიდებული, რესპუბლიკას, რომლისათვის გარეშე მძვიდობიანობა, დირსკულად და მძვიდობად დატყული, არის სასასარი და საგანი დემოკრატის წარმატებისა. თქვენი ზოლიტიკა შესახებ შინაგან საქმეთა, თქვენი ცვლილებანი ნებას მოგვცემთ თქვენ თანამად დაუდგეთ წინ საღმრთო სამართადს, რა გზითაც უნდა მიმართოთ თქვენ ამომხრეველთ.“

„მას აქვთ რაც აქ სხედხართ, საღმრთო არა ერთსულ ქმენის შემთხვევა გამოეჭვთ თვისი ახრი თქვენს მოქმედებაზედ, და ყოველთვის მოსწონება თქვენი ზოლიტიკა. ყოველს ამას მოსდევს ერთი დასკვნა: ჩვენ იმ გზას არ უნდა ავტდეთ, რომელსაც აქამდისინ ვაძქვით. საფრანგეთის ნება და საზრებლობა ითხოვენ, რომ რესპუბლიკას გარემოწიფეთ თავისუფალი და საღმრთოგვარად დაწესებულებანი, რათა შევკერთოთ ყველა შტოლიტიკი, ყველა საფრანგეთელნი.“

ეს სიტყვა, პალატის გარდაწყვეტილების ძალით, მიკრულ იქმნა საფრანგეთის ყველა კუთხის კედლებზედ.

სპარსეთი. დიდი ხანი გაივლის და სპარსეთს არ დაავიწყდება ის დღეები ძურთების აჯანყებამ რომ მიაყენა. მთელი ძურთისტანი, რომელიც შეიცავს რამოდენიმე დიდ ქალაქებს,

სამწუხარო სურათს წარმოაგენს. მაკრობა, რომელიც უმეტეს ნაწილად რუსეთის ქვეშევრდომების ხელთ იყო, მეტის-მეტად დაცემულია. ძალაქებს გარეთ და თვით ქალაქებშიაც ქურთებისაგან ამოქლეტილი მცხოვრებლების გვამები ისევ ისე ჰყრიან და თუ ეხლავე არ გაიწმინდა ეს ალაგები ზაფხულში ჟამის გაჩენას უნდა მოელოდეს ის არე-მარე. მთხასი სოფელი სულ ერთიანად გარდათელეს და გარდაწვეს შურთებმა, რომლების აჯანყების მიზეზი ყოფილა, მთავარი მანგურების ტომთა ჰამზა-ალა. (ქველა შურთები სპარსეთში მცხოვრებნი არიან სენნიტები, რომელნიც განიყოფებიან რამოდენიმე ტომებათ. სენნიტები განირჩევიან სპარსელებთან იმით, რომ ამათ არა სწამთ შორანი, და დამქარებულნი არიან ზვიპირ-გარდმოცემიანად.)

განცხადებანი

მომავალ ზარასკეგს, 30 იანვარს თფილისის სასაფსულო თეატრში დანიშნულია

გენაქისი მომღერალის ფ. ქორიძისა

ითამაშებენ რუსულ ოპერას

ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ (3-1)

1881 წლის პირველ იანვრიდამ ცხლკე ნომრები «დროებისა» ქუთაისში ისეიდება ივანე ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში.

მომავალ თებერვლის ცამეტს, დილით, მიროტინის ვალში დაენიშნულია სურამის სულში გასაქმდა გ. მქედლოვის ობლების სახლისა, რომელშიაც სული იმყოფება, ხუთ ოთახიანი, კუხნით, ეზოთი და ცარიელის მიწით. სახლის გვერდითვე 6 დღის მიწა-ტყით. სულ დაფასებულია 1800 ხმან. (3-1)

ქუთაისის

ტრანსპორტნი კანტორა ძმათა თუთუნოვებისა, მართველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის ლუბერნიის მოვაჭრებსა და ეგრეთვე მქონებელსა.

გაგებისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდენ კანტორაში, ბულვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინიძის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდახედ მიიღებს კანტორა, ნაღდ-ფულზედ. (5-4)

ბანკირის კანტორა

აღ. ფრიდლანდისა და ი. შახნა-ზარაფისა

ჰყიდულობს და ჰყიდის ყოველგვარ სარგებლას (1/10) ქადაღებს.

აძლევს ამ ქადაღების გინათ სხვაგვარე მომეტებულ სესხს 7 1/2% სარგებლით წელიწადში,

მიიღებს შესანასჯათ ფულს, შინაგან სესხის მოგებას ბილეთებს იღებს სტრახში და სსგ.

ძანტორა იმყოფება: სერგეის ქუჩაზე, სასულეწიფო ბანკის განყოფილების პირ-და-პირ, აღ. ფრიდლანდის სახლში, № 7. (3-1)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

ვიღებთ ხვენი ხაი	1 მ. 10 კ.	მოკლეების ხაის	1 მ. 40 კ.
— — —	1—20	— — —	1—60
— — —	1—40	— — —	1—80
— — —	1—60	— — —	2 — ”
— — —	1—80	— — —	2—50
საუკეთესო	2 — ”	— — —	3 — ”

იქვე ისეიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ეიღრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს. გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100-83)

ინგლისის მაღაზიაში

თქონს ანუ უფრო მკვირი



გაკ-რას-ტყარი

ამაგრებს თქონს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისეიდება ქინის ზომადა თქების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკეობი თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუპ-ლეტის საშონი, დუხები და სსგ. (150-32)

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნების შავ-დანზე, მოდფრუას ცირკის გვერდით გაეხსენი ზალა ბიშნასტიკის ვარჯიშობისა, სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდინ. დაწერილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის

კანტორაში, რომელიც შუა დღიდან 2 საათამდინ გაღებულია. აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6-3)

ისეიდება ყოველ-გვარი თუჯისა და სპილენძის ნივთები მაღასადლო-ბად—წმ. ბიორგის ეკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25-7)

კატანტიანი უჩოტკები

თქებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; საძმევე 30 კაპ.; რუშკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუქი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ერთი და სსგ. ინგლისის მაღაზიაში. (100-83)

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თქონს გასამაგრებელი მაკ-მასტერი

ერთობ ბეგრის ისეიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს. (100-97)

ლონდონის მაღაზია

კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითურ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტებისა, ტურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსა, დუხებისა, საშონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქადაღისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უხეგრებისა, სუერისისა (გემოიელი კლეშკვინი ზეთისა) და სსგ. სააგენტო მაგისტრო შის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და პატკურის და კაპშ. მურაბისა, აგრეთვე ჩუღჭებისა და წინდებისა ნოტინგჰამიდან. სამდვილი ჭავასს სიგარები. (100-12)

ინგლისის მაღაზიაში

ისეიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. შეელა ინგლისის იარაღები ისეიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20-14)

ლონდონის მაღაზია

პრეენის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიხტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასასყიდლად და ასაუ-

კეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფებს, რევოლვერებს, კრავატების, დანა-ჩანგლების, სჩაიე, ქიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საშონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩუღჭების, კარანდაშების, რკინის კალმების და სსგ... (100-42)

მიუხედავით იმისა, რომ

ზაყა მძიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ვანგო-ხაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშენიერი ვაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ ვარგი ხაი 2 მ. გირვანქა უქალალოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ბარსხის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და ექსტრანქტისა ვაგაო ღრანის, რომელთაც დამისასურეს ზარის მსოფლიო გამოყენასუდ აქრას მენდადი. გირვანქა არომატიული ჩაისა ღამაზი ჩაისივით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდის ბლომით ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების ვანჭტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100-12

ტაშკია

საკვებზე ზონაგულებთან, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვისგან-მაგლობაში, 1 იანვრიდან 1 თებერვლამდინ.

- ზამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:
- პირველის ხარისხის—1 გირვ. 5 კ.
 - მეორის ” — 1 გირ. 4
- იმავე ფქვილიდამ თორნეში გამო-მცხვარი:
- პირველის ხარისხის—1 გირვ. 6 კ.
 - მეორის ” — 1 გირ. 4 1/2
- ჯვარის-მამის პური:
- პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
 - მეორის ” ” 1 გირ. 5 1/2
 - მესამის ” ” 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

- პირველის ხარისხის— 1 გირ. 10 კ.
- მეორის ” — 1 გირ. 8.
- სუკი — 1 გირ. 16
- ცხვრის ხორცი 1 გირ. 11
- ლორის ხორცი — 1 გირ. 12
- ლორის ხორცი — 1 გირ. 11 კ.

მა ტაქტია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მადენებზე მოაქვს ხორაგი გასასყიდლად.